ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1334376

ნომერი: AR1228311

თარიღი : 11.06.2014

გაცემის თარიღი : 01.07.2014

გაცნობის თარიღი : 02.07.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 84 / ქალაქი თბილისი , დ. გურამიშვილის გამზირი N41-ის მოპირდაპირე მხარეს, ელმავალმშენებელი ქარხნის ღობესთან;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:
- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 06/11/2014წ. #AR1228311 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 16.04.2014წ. #1222356 ბრძანებაში, შენობა-ნაგებობის მონაცემების ნაწილში ცვლილების შეტანას და ნაცვლად III კლასისა II კლასის დაფიქსირებას.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 16.04.2014წ. #1222356 ბრძანებით, ქ. თბილისში, გამზირი დ. გურამიშვილი #84 / ქალაქი თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი #41-ის მოპირდაპირე მხარეს, ელმავალმშენებელი ქარხნის ღობესთან, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.12.01.003.107), შეთანხმდა ავტოტექმომსახურების ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. თავისი მახასიათებლებით, ობიექტი მიკუთვნებულ იქნა III კლასს, რაც ასევე აისახა ბრძანებაში. განმცხადებლის განმარტებით, შეთანხმებული ობიექტის კლასის განსაზღვრისას დაშვებულ იქნა შეცდომა და ობიექტი თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება II კლასს, რის გამოც, დღეისათვის, ითხოვს შევიდეს ცვლილება ბრძანებაში და შენობა-ნაგებობის მონაცემების ნაწილში დაფიქსირდეს II კლასი.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება ასაშენებელი ან სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის პარამეტრების მიხედვით, ამასთანავე, თუ ერთ კონკრეტულ შენობა-ნაგებობას აქვს სხვადასხვა კლასის განმსაზღვრელი მახასიათებლები, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასს განსაზღვრავს მისი ყველაზე მაღალი მახასიათებელი.
ამავე დადგენილების მიხედვით, მესამე კლასს განეკუთვნება განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) კოეფიციენტით K-2-ით განსაზღვრული ან იმ ზონაში, სადაც K-2 არ განისაზღვრება - სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური 300 მ2-დან 6 000 მ2-მდე ფართობის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური 500 მ2-დან 6000 მ2-მდე ფართობის), 12 მ-დან 22 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 4 მ-ზე მეტი ჩაღრმავების მქონე შენობა.
სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა 16.04.2014წ. #1222356 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და დადგინდა, რომ ობიექტის ჯამური ფართობი წარმოადგენს 451.6 კვ.მ.–ს და ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შენობა-ნაგებობის კლასს განსაზღვრავს მისი ყველაზე მაღალი მახასიათებელი, შეთანხმებული ობიექტი განეკუთვნება III კლასის შენობა–ნაგებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილი ცვლილება და ობიექტი მიაკუთვნოს II კლასს.